ევროკომისია

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობა

განმარტებები იმპორტისა და ექსპორტის შესახებ

ფაქტობრივი მონაცემები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ

მალე ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობა იმპორტის გადასახადის გარეშე მოხდება. ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლამდე – სავარაუდოდ, 2014 წლის ბოლომდე – დღეს არსებული იმპორტის გადასახადი განულდება. ვაჭრობა გაიზრდება, გაიზრდება ეკონომიკაც, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოს ეროვნულ შემოსავალს 4.3%– ით გაზრდის.

მე ვახორციელებ ევროკავშირში ექსპორტს – რა უნდა ვიცოდე?

ევროკავშირში ექსპორტისთვის თქვენ ალბათ უკვე სარგებლობთ პრეფერენციების ზოგადი სისტემა (GSP+)-ით, რაც ქართულ საქონელს ევროკავშირის ბაზარზე შემცირებული იმპორტის გადასახადით შესვლის საშუალებას აძლევს.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება ჩაანაცვლებს GSP+ სისტემას ქართული საქონლისთვის (გარდა ნივრისა) და მას ევროკავშირის ბაზარზე სრულიად თავისუფლად, საბაჟო გადასახადის გარეშე შესვლის შესაძლებლობას მისცემს.

ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს კვლავაც დარჩება GSP+-ით სარგებლობის უფლება. ამ ხნის განმავლობაში ევროკავშირის ბაზარზე იაფი იმპორტის განსახორციელებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ როგორც GSP+-ით, ისე ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით.

თქვენ, როგორც ექსპორტიორს უნდა გახსოვდეს, რომ:

- ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად, სოფლის მეურნეობის პროდუქციამ უნდა დააკმაყოფილოს ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობისა და ჰიგიენის ევროპული წესები. ეს წესები სავალდებულოა მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან შემოსული ექსპორტისთვის. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნა დაეხმარება ქართულ პროდუქციას, დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები, თუკი მათი დაკმაყოფილება ვერ ხერხდება.
- ევროკავშირს შეუძლია შეამოწმოს, არის თუ არა მის ბაზარზე საქართველოდან შემოსული პროდუქტი მართლაც საქართველოში ნაწარმოები. წესის დარღვევის თავიდან ასაცილებლად შემოღებული ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ვერავინ შეძლოს არაქართული ნაწარმის გაყალბება და მისი „ნაწარმოებია საქართველოში“ ეტიკეტით ევროკავშირის ბაზარზე შეტანა საიმპორტო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებიდან თავის არიდების მიზნით.
- ევროკავშირში იმპორტირებისას ზოგიერთი სახეობის ხილისა და ბოსტნეულის ფასი გადამოწმდება. თუკი აღმოჩნდება, რომ მისი ღირებულება ამავე პროდუქტზე ევროკავშირში არსებულ საშუალო ფასზე ნაკლებია, იმპორტიორს სპეციალური მოსაკრებლის (ევროებში) გადახდა დაეკისრება.
- უნდა შემოწმდეს წარმოების/დამზადების წესები, განსაკუთრებით, თუკი უცხოურ კომპონენტებს მოიხმართ. სწორედ ეს წესები განსაზღვრავს, ჩაითვლება თუ არა ესა თუ ის პროდუქტი ,,ქართულად“ და შეგიძლიათ თუ არა საბაჟო მოსაკრებლისგან თავისუფალი რეჟიმით სარგებლობა ევროკავშირის ბაზარზე შესვლისას. გაითვალისწინეთ, რომ ეს წესები GSP+ და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემთხვევაში შეიძლება განსხვავებული იყოს.

იცოდით თუ არა, რომ...

...ევროკავშირისა და საქართველოს ბიზნესი საიმპორტო გადასახადის სახით წელიწადში დაახლოებით 90 მილიონ ევროს დაზოგავს.

...ქართული ღვინო ევროკავშირის ბაზარზე საბაჟო მოსაკრებლის გარეშე შევა. დანაზოგი დაახლობით 32 ევროს შეადგენს ერთ ჰექტოლიტრზე. ქართველი ექსპორტიორებისთვის ეს იქნება შესაძლებლობა, ფეხი მოიკიდონ ევროპულ ბაზარზე.

წყარო: COMEXT და COMTRADE მონაცემთა ბაზა, ევროკომისია

ევროკომისია

მე ვახორციელებ ევროკავშირიდან იმპორტს – რა უნდა ვიცოდე?

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ყველა სახის ევროპული პროდუქციისთვის ნულოვან გადასახადს ადგენს. თუკი თქვენ ევროკავშირიდან იმპორტს ახორციელებთ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ფულის დაზოგვის საშუალებას მოგცემთ.

ევროკავშირიდან საკუთარი წარმოებისთვის საჭირო კომპონენტებზე უკეთესი წვდომის შესაძლებლობა გეძლევათ. თქვენ შეძლებთ უფრო მეტი პროდუქციის გაყიდვას უფრო ნაკლებ ფასად.

საბაჟოზე საიმპორტო ფორმალობების გავლა უფრო ეფექტურად და სწრაფად მოხდება და ისეთივე იქნება, როგორც ევროკავშირში.

თქვენ გექნებათ ევროპულ კომპანიებთან ბიზნესის კეთების მეტი შესაძლებლობა იმპორტისა თუ ინვესტირების საშუალებით. შესაძლოა საკუთარი ბიზნესის წამოწყებაც კი შეძლოთ, ევროპელ პარტნიორთან ერთად.

დამატებითი ინფორმაციისთვის ამავე თემაზე...

- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის თემაზე იხილეთ ,,ასოცირების შეთანხმება/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე", მუხლები 22, 26 და 27, ასევე, დანართი II იმ სასოფლო–სამეურნეო პროდუქტების შესახებ, რომელზეც სპეციფიკური წესები ვრცელდება (ბაზარზე შესვლის ფასი და იმპორტის მოცულობის მონიტრინგი).
- ასოცირების შეთანხმება (ინგლისურად) იხილეთ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვებგვერზე http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_en.htm, ხოლო ქართულად – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერზე http://www.mfa.gov.ge
- ევროკავშირში ექსპორტის მსურველებს შეუძლიათ გაეცნონ საექსპორტო მოთხოვნებს სპეციალურ ვებგვერდზე Export Helpdesk.
- დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით: Delegation-Georgia@eeas.europa.eu

იცოდით თუ არა, რომ...

...2013 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის მთლიანი ვაჭრობა შეადგენდა 2.7 მილიარდ ევროს ანუ საქართველოს მთლიანი ვაჭრობის 27%–ს

...ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გაზრდის საქართველოდან ექსპორტს 12%–ით, ხოლო საქართველოში იმპორტს – 7.5%–ით.

...მოქმედებს ევროკავშირიდან სამგზავრო ტრანსპორტის საქართველოში იმპორტირებისთვის დაწესებული სპეციალური მოსაკრებელი. მისი ოდენობა სატრანსპორტო საშუალების ტიპზეა დავმოკიდებული. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემოღებით ეს მოსაკრებელი გაუქმდება და ევროკავშირიდან სატრანსპორტო საშუალებების იმპორტირება გაიაფდება.

...ევროკავშირიდან საქართველოში მედიკამენტები უკვე საბაჟო გადასახადის გარეშე შემოდის და ეს პრაქტიკა გაგრძელდება.

...საქართველოში ევროკავშირიდან იმპორტირებული ბავშვთა კვების პროდუქტები 12%–იანი მოსაკრებლით იბეგრება. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შემოღებით ეს მოსაკრებელი უქმდება, რაც ქართველ იმპორტიორებს დაახლოებით 750,000 ევროს დანაზოგს მოუტანს (2013 წლის იმპორტის ღირებულების გათვალისწინებით).

წყარო: COMEXT და COMTRADE მონაცემთა ბაზა, ევროკომისია